



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ანტიკური ხელოვნება

ანტიკური ხელოვნება, ძვ. საბერძნეთის, ელინისტური ქვეყნებისა და რომის ხელოვნება.

ჩაისახა და განვითარდა ბალკანეთის და აპენინის ნ.-კ-ებზე, ეგეოსის არქიპელაგსა და მცირე აზიის დას. სანაპიროზე ძვ. წ. I ათასწლ. და ახ. წ. I ათასწლ. I ნახევარში. ამ ტერმინით ზოგჯერ აღნიშნავენ აგრეთვე ხმელთაშუაზღვისპირეთში, შავი ზღვის სანაპიროებზე და წინა აზიაში მოსახლე ხალხთა იმავე ეპოქის ხელოვნებას. ა. ხ-მ ზეგავლენა მოახდინა თითქმის ყველა ეპოქისა და ხალხის ხელოვნებაზე.

ანტიკური ხელოვნების ძეგლები საქართველოში. საქართვე. ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი ანტ. ხელოვნ. ძეგლები. მათი უდიდესი ნაწილი იმპორტული ნივთებია, რ-ებიც აქ მოხვდა ანტ. ქვეყნებთან ძვ. საქართველოს ინტენს. სავაჭრო-ეკონ. და პოლიტ. ურთიერთობის შედეგად. გვხვდება აგრეთვე ადგილ. წარმოების ანტ. ხელოვნ. ცალკეული ნიმუშებიც (ანტ. სამყაროსათვის ჩვეულებრივი იყო ხელოსნებისა და ხელოსანთა არტელების მიმოსვლა ქვეყნიდან ქვეყნად). ანტ. ხუროთმოძღვრების ძეგლები საქართველოში შედარებით მცირე რაოდენობითაა ცნობილი, რაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ საქართვე. შავიზღვისპირეთის ბერძნ.-რომაული დასახლებები ნაკლებად არის შესწავლილი. შედარებით უკეთ არის შემონახული I - IV სს. რომაული ციხესიმაგრეები, რ-თა ტიპური ნიმუშებია აფსარუტის, სებასტოპოლისის, ბიჭვინთის კასტელუმები (იხ. გონიოს ციხე, ბიჭვინთა, დიოსკურია). რომაული ხუროთმოძღვრების გავლენა ჩანს აღმ. საქართველოშიც, განსაკუთრებით სასახლეთა და აბანოების მშენებლობაში (იხ. ძალისი, არმაზისხევის აბანო). ცალკეული არქიტ. დეტალები (სვეტების, კარნიზების, ფრიზების, კარების და სხვ. ნაწილები) აღმოჩენილია საქართვე. მრავალ პუნქტში (ვანი, სოხუმი, მცხეთა და სხვ.), მ. შ.

აღსანიშნავია კორინთული კაპიტელები ვანიდან, იონიური კაპიტელი სარკინედან და სხვ. ანტ. ხუროთმოძღვრების ძეგლები ხშირად მონუმ. ფერწერით და ქანდაკებით იყო შემკული.

რომაული მონუმ.-დეკორ. ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებია ძალისის არქიტ. კომპლექსისა და ბიჭვინთის იატაკების მოზაიკები. კედლის მხატვრობა მხოლოდ ფრაგმენტულადაა შემორჩენილი (მაგ., ბაგინეთში). კლასიკური ხანის ბერძნ. ქანდაკების მშვენიერი ნიმუშია სოხუმთან ნაპოვნი ძვ. წ. V ს. მარმარილოს საფლავის სტელა. საქართვ. რამდენიმე პუნქტში აღმოჩენილია ბრინჯაოსა და მარმარილოს ბერძნ.-რომაულ ქანდაკებათა ფრაგმენტები. აღსანიშნავია „ჭაბუკის ტორსი“ – ელინისტური ხანის ბრინჯაოს მონუმენტური ქანდაკების ფრაგმენტი (ვანის ნაქალაქარი, ძვ. წ. II ს.), რ-იც განეკუთვნება ე. წ. მკაცრი სტილის ნიმუშებზე აქცენტირებულ კლასიცისტური ხელოვნების წრეს. ანტ. პლასტიკის შესანიშნავი ნიმუშია სოფ. კოდისწყაროსთან ნაპოვნი შიშველი დიონისეს მცირე ზომის (19 სმ) ბრინჯაოს ფიგურა ვერცხლით ინკრუსტირებული თვალებით, რ-იც პრაქსიტელეს ქანდაკების ტიპის მიხედვით არის შექმნილი ძვ. წ. III – II სს-ში (დაცულია კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). საქართვ. მიწამ დიდი რაოდენობით შემოგვინახა ანტ. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ძეგლები, რ-ებიც არქეოლ. გათხრების შედეგად არის მოპოვებული (ციხისძირი, ვანი, კლდეეთი, ზღუდერი, ურბნისი, ალიანი, მცეთა და სხვ.). მათი უმეტესობა ფართო მოხმარების შედარებით იაფფასიანი ხელოსნური ნაწარმია, მაგრამ გვხვდება ცალკეული მაღალმხატვრული ნიმუშებიც. ანტ. საბერძნეთთან ურთიერთობის საწყისი ეტაპიდანვე (ძვ. წ. VI ს.) საქართველოში სისტემატურად შემოდიოდა ბერძნ. მხატვრული კერამიკის ნაწარმი; თიხის შავლაკიანი და მოხატული (წითელფიგურიანი, შავფიგურიანი სტილის) სხვადასხვაგვარი ჭურჭელი (ამფორები, ჰიდრიები, კრატერები, კილიკები, კინთაროსები, ლეკითოსები, უნგვენტარიუმები და სხვ.). მათი დიდი ნაწილი აღმოჩენილია ზღვისპირა ქ-ებში (იხ. ფიჭვნარი, სოხუმის არქეოლოგიური ძეგლები, ეშერის არქეოლოგიური ძეგლები), ნაწილი – კოლხეთის სიღრმეში (ვანი, ითხვისი, საჩხერე, საირხე), ცალკეული ნიმუშები კი – აღმ. საქართველოშიც (იხ. ხოვლე, სამადლო). ბერძნ. მოხატული ლარნაკების საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნება ფიჭვნარის № 1 სამარხში აღმოჩენილი ადრინდ. კლასიკური ხანის წითელფიგურიანი კრატერი, რ-იც დამზადებულია ატიკაში დაახლ. ძვ. წ. 450 და ე. წ. ნიობიდების მხატვრულ წრეს მიეკუთვნება (აჭარის სახელმწ. მუზეუმი).

შემოკლებით რომაული მხატვრული კერამიკაც – წითელი ლაკით დაფარული ლანგრები და სხვა ჭურჭელი, ე. წ. Terra sigillata (ბიჭვინთა, სოხუმი). არქეოლ. გათხრების შედეგად საქართველოში აღმოჩენილია ბერძნ.-ელინისტური კოროპლასტიკის (ტერაკოტის) ძეგლებიც: საგანგებო ფორმებში დაყალიბებული მცირე ზომის ტერაკოტული ქანდაკებები ძვ. ბერძნ. საოჯახო ყოფის დამახასიათებელი ელემენტი იყო და ელინური კულტ. გავრცელებასთან ერთად ფართოდ გავრცელდა ძვ. სამყაროში, მ. შ. საქართველოშიც. უფლისციხეში ელინისტური ხანის განძის შემადგენლობაში აღმოჩნდა ტანაგრის წრის მოოქრული ტერაკოტის სავარძელში მჯდომი კორეს ქანდაკება (საქართვ. ხელოვნ.

მუზეუმი). ელინისტური ხანის კოროპლასტიკის ნიმუშებთან ერთად ვანში ტერაკოტული ქანდაკებების დასაყალიბებელი ფორმების აღმოჩენა მიუთითებს, რომ ანტ. მცირე პლასტიკის ზოგიერთი ძეგლი მაინც ადგილ. ნაწარმია. ასევე ადგილ. თიხით არის დაყალიბებული სარკინეში მოპოვებული ანტ. ხელოვნ. შესანიშნავი ნიმუშები: ძვ. წ. II – I სს. ტერაკოტული ნიღბები დიონისეს, არიადნესა და მათი მხლებლების გამოსახულებით (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვე. მუზეუმი). მნიშვნელოვანი რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოში ანტ. ტორევიტიკის ძეგლები. გვიანდ. არქ. და კლასიკური სტილის ძვ. ბერძნ.

ტორევიტიკის შესანიშნავი ნიმუშების მთელი სერია აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე გათხრილ მდიდრულ სამარხებში. ბერძნ.-ელინისტური ტორევიტიკის ბრწყინვალე ძეგლია ვანის ერთ-ერთ ტაძარში აღმოჩენილი ძვ. წ. II ს. დასასრ. სპილენძის დიდი ზომის ჭურჭელი (კრატერი), რ-იც ბრინჯაოს სკულპტურული ფიგურებითაა შემკული. შესანიშნავი ოსტატობით გამოირჩევა არიადნეს, პანისა და მენადების თავები. ჭურჭლის მხატვრული გვირგვინია გამარჯვების ფრთოსანი ქალღმერთის – ნიკეს მრგვალი ქანდაკება (ბრინჯაო, 15 სმ), რ-იც ამშვენებს კრატერის სარქველს. ტორევიტიკის ნაწარმმა ანტ. საზ-ბის მაღალი წრის ყოფაში განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა რომაულ ხანაში მოიპოვა. ტორევიტიკის ძეგლების შეგროვება რომაელ დიდებულთა პრესტიჟის საქმედ იქცა. ქართვე. არისტოკრატიაც ცდილობდა არ ჩამორჩენოდა დროის მოთხოვნას და, მართლაც, მცხეთის (ბაგინეთის, სამთავროს, არმაზისხევის), ზღუდრის, ბორის, კლდეეთის, ციხისძირის, გონიოს, ჟინვალის, ერწოს, დედოფლის გორის, ნიჩბისის და სხვ. არქეოლ. მონაპოვარმა რომაული ტორევიტიკის მრავალი ნიმუშით – ბრინჯაოს მხატვრული ჭურჭლით (ამფორები, ენახობები, პატერები და სხვ.) გაამდიდრა საქართვე. სიძველეთსაცავები. ანტ. ტორევიტიკის ზოგიერთი ძეგლი ადგილ. ნაწარმი უნდა იყოს. ასეთია, მაგ., სკულპტურული მედალიონებით შემკული ვერცხლის ლანგრები არმაზისხევის № 6 სამარხიდან (ს. ჯანაშიას სახ. საქართვე. სახელმწ. მუზეუმი).

კიდევ უფრო დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი საქართველოში ბერძნ.-რომაული გლიპტიკის ძეგლები. გვიანდ. არქ. და კლასიკური ხანის (ძვ. წ. VI – IV სს.) გლიპტიკა საქართველოში მხოლოდ ლითონის, უპირატესად ოქროს საბეჭდავი ბეჭდებითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ნაწარმი მოპოვებულია ვანსა და ფიჭვნარში. ელინისტური გლიპტიკის ბრწყინვალე ნიმუშებია გრანატის ინტალიო ეგვ. დედოფლის არსინოე II-ის პორტრეტით (დედოფლის გორა, ძვ. წ. III ს.). ანტ. (რომაული) გლიპტიკური ნაწარმი საქართველოში მოზღვავდა I – III სს-ში. ამ პერიოდისათვის გემა (ინტალიო ან კამეა) რომაული ხანის საზ-ბის ფართო წრეებისათვის თითქმის აუცილებელ სამკაულად ითვლებოდა. მცხეთის, ურბნისის, ბორის, კლდეეთის, ზღუდრის, ჟინვალის და სხვ. სამაროვნებში ასობით გემაა მოპოვებული, რ-თაგანაც ზოგიერთი მაღალმხატვრული ნიმუშია. ასეთებია, მაგ., ამეთვისტოს გემა კარაკალას პორტრეტით ურბნისიდან (III ს.) იაგუნდის თვალი ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტით ზღუდრიდან (II ს.), მთის ბროლის ინტალიო რომის იმპერატორის ლუციუს ვერუსის პორტრეტით ციხისძირიდან (II

ს.) და სხვ. ფიქრობენ, რომ II - III სს. ქართლში მეფე-დიდებულთა კარზე მუშაობდნენ ჩამოსული ბერძნ-რომაელი ხელოსან-გლიპტიკოსებიც. ანტ. გლიპტიკის თავისებური ნაწარმია პირის საფარეშო დანიშნულების ქვის (ააქტის) მცირე ზომის ფლაკონი და თეფშები, რ-ებიც არმაზისხევის № 6 და სამთავროში გათხრილ სამარხებში აღმოჩნდა (II ს.).

გლიპტიკის ძეგლები უმეტესწილად ოქრომჭედლური ნაწარმის ნაწილს წარმოადგენდა – სვამდნენ თვალსამკაულად ბეჭდებში, სამაჯურებში, ყელსაბამებსა და აგრაფებში. ტორევეტიკის და გლიპტიკის ძეგლებთან ერთად საქართველოში ანტ. საიუველირო (ოქრომჭედლობის) ნაწარმიც შემოდიოდა, ასეთია, მაგ., ძვ. წ. III ს. მინანქრით, გრანატის თვლებით, გავარსითა და გრეხილურით შემკული ოქროს დიადემის ფრაგმენტები ვანიდან (ს. ჯანაშიას სახ. საქართვე. სახელმწ. მუზეუმი) და სხვ.

ლიტ.: ა ფ ა ქ ი ძ ე ა., გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი გ., კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ა., ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გ., მცეთა, I - არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955; ბ ო ს ო ჩ ა ძ ე ა., არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისში, თბ., 1981; დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში [ტ.] 3, თბ., 1978; ვანი, I - არქეოლოგიური გათხრები, 1947 - 1969, თბ., 1972; ი ნ ა ი შ ვ ი ლ ი ნ., ციხისძირის განძი, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბ., 1987; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., კოლხეთის ძვ. წ. V - III სს. საბეჭდავი-ბეჭდები, თბ., 1975; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ო., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968; მ ა ჩ ა ბ ე ლ ი კ., ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ., 1983; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე თ., ანტიკური მოხატული ვაზები ფიჭვნარის სამაროვანიდან (ძვ. წ. V - IV სს.), კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბ., 1987; ყ ი ფ ი ა ნ ი გ., კაპიტელები (საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა), თბ., 1987; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქ., ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972 (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, V).

**ი. გაგოშიძე**

---